საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2499-02
10/10/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში უნივერსიტეტის მიერ გადახდების დროულად შესასრულებლად საჭირო რეგულაციების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტის უფროსის, სოფიო გაჩეჩილაძის 2016 წლის 3 ოქტომბრის N16230-35 სამსახურებრივი ბარათის,

ვბრძანებ

1. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში გადარიცხვების წარმოებისთვის (გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა) განისაზღვროს კვირაში 2 დღე: სამშაბათი და პარასკევი.
2. იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში გადარიცხვების წარმოებას, უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მათ შორის მივლინების შესახებ ბრძანების, მიღება-ჩაბარების აქტის, ხელშეკრულების და ა.შ.) წარდგენა მოხდეს შესაბამისი გადარიცხვის განხორციელების საჭიროებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღისა.
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გამოსაცემად/გასაფორმებლად მათ შორის თანამშრომლის მივლინების დროს (ბრძანების, ხელშეკრულების) უნივერსიტეტში დასაქმებული პირის ან სტრუქტურული ერთეულის მიერ მოთხოვნა წარმოდგენილ იქნას გადარიცხვის განხორციელების საჭიროების პერიოდამდე არანაკლებ 6 სამუშაო დღისა.
4. ამ ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, გენადი შაინიძეს.
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ/დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი